შპს „თრეილ ქონსთრაქშენ“

ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ივლისი 2024

თბილისი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები	7
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის საოპერაცია გარემო	7
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	16
5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	19
9. ფინანსური აქტივები	19
10. ძირითადი საშუალებები	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
12. სესხები	21
13. კაპიტალი	21
14. შემოსავალი მომსახურებიდან	21
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
18. ფინანსური რისკის მართვა	23
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თრეილ ქონსთრაქშენის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თრეილ ქონსთრაქშენის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „თრეილ ქონსთრაქშენის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („ბესსს-ის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში,

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი
შპს „რასელ ბედფორდ ეიეისის“ სახელით
თბილისი, საქართველო
10 ივლისი 2024 წ.

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი
შპს „რასელ ბედფორდ ეიეისის“ სახელით
თბილისი, საქართველო
10 ივლისი 2024 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	518,574	493,056
სულ გრძელვადიანი აქტივები		**518,574**	**493,056**
მიმდინარე აქტივები			
ფინანსური აქტივები	8	2,447,851	820,274
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	1,864,355	1,070,740
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,080,000	394,261
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	654,920	2,882,904
სულ მიმდინარე აქტივები		**7,047,126**	**5,168,179**
სულ აქტივები		**7,565,700**	**5,661,235**
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	13	5,363,649	3,652,780
სულ საკუთარი კაპიტალი		**5,363,649**	**3,652,780**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	-	59,507
საგადასახადო ვალდებულებები		471,943	916,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,730,108	1,032,947
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,202,051**	**2,008,455**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,565,700**	**5,661,235**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

10 ივლისი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	518,574	493,056
სულ გრძელვადიანი აქტივები		**518,574**	**493,056**
მიმდინარე აქტივები			
ფინანსური აქტივები	8	2,447,851	820,274
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	1,864,355	1,070,740
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,080,000	394,261
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	654,920	2,882,904
სულ მიმდინარე აქტივები		**7,047,126**	**5,168,179**
სულ აქტივები		**7,565,700**	**5,661,235**
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	13	5,363,649	3,652,780
სულ საკუთარი კაპიტალი		**5,363,649**	**3,652,780**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	-	59,507
საგადასახადო ვალდებულებები		471,943	916,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,730,108	1,032,947
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,202,051**	**2,008,455**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,565,700**	**5,661,235**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

TRAIL CONSTRUCTION
400288005
"TRAIL CONSTRUCTION" LLC

10 ივლისი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	14	17,744,973	12,242,589
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(6,579,903)	(7,459,793)
საერთო მოგება		**11,165,070**	**4,782,796**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(469,657)	(385,163)
საოპერაციო მოგება		**10,695,413**	**4,397,633**
ფინანსური ხარჯები	12	(12,283)	(27,652)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,376	43
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(530)	(5,307)
მოგება დაბეგვრამდე		**10,683,976**	**4,364,717**
მოგების გადასახადი		(1,346,703)	(317,647)
წმინდა მოგება		**9,337,273**	**4,047,070**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წმინდა სრული შემოსავალი		**9,337,273**	**4,047,070**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

10 ივლისი 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	14	17,744,973	12,242,589
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(6,579,903)	(7,459,793)
საერთო მოგება		**11,165,070**	**4,782,796**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(469,657)	(385,163)
საოპერაციო მოგება		**10,695,413**	**4,397,633**
ფინანსური ხარჯები	12	(12,283)	(27,652)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,376	43
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(530)	(5,307)
მოგება დაბეგვრამდე		**10,683,976**	**4,364,717**
მოგების გადასახადი		(1,346,703)	(317,647)
წმინდა მოგება		**9,337,273**	**4,047,070**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წმინდა სრული შემოსავალი		**9,337,273**	**4,047,070**

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

10 ივლისი 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,405,710**	**1,405,710**
პერიოდის შედეგი	4,047,070	4,047,070
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	**4,047,070**	**4,047,070**
გამოცხადებული დივიდენდები	(1,800,000)	(1,800,000)
მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები	**(1,800,000)**	**(1,800,000)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,652,780**	**3,652,780**
წინა პერიოდის კორექტირება	-	-
პერიოდის შედეგი	9,337,273	9,337,273
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	**9,337,273**	**9,337,273**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	(7,626,404)	(7,626,404)
მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები	**(7,626,404)**	**(7,626,404)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,363,649**	**5,363,649**

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	10,683,976	4,364,717
შესწორებები:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	68,343	39,839
საპროცენტო ხარჯი	12,283	27,652
მოგების გადასახადი	(1,346,703)	(317,647)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	**9,417,899**	**4,114,561**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(1,685,739)	(680,959)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება	(793,615)	(943,745)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	697,161	570,507
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	(444,058)	474,602
სხვა აქტივის ცვლილება	(1,627,577)	-
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები	**(3,853,828)**	**(579,595)**
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(12,283)	(4,877)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**5,551,788**	**3,530,089**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(93,861)	(328,713)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(93,861)**	**(328,713)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საბანკო სესხის დაფარვა	(59,507)	(172,205)
დივიდენდის გადახდა	(7,626,404)	(1,800,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(7,685,911)**	**(1,972,205)**
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	-	915
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(2,227,984)	1,230,086
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**2,882,904**	**1,652,818**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს	**654,920**	**2,882,904**

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება:	შპს თრეილ ქონსტრაქშენ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი:	400288005
რეგისტრაციის ნომერი, თარ:	16/16/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მას., V მ/რ, კორპ. 8ა, ბინა 25

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - თორნიკე მოსიაშვილი (57001037762).
მესაკუთრე წილი 100%-იანი წილის მფლობელი თორნიკე მოსიაშვილი (57001037762).

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2023	31 დეკ 2022
USD/GEL	2.6894	3.7020
EUR/GEL	2.9753	3.8844

2. კომპანიის საოპერაცია გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.
ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) და

"ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მენეჯმენტისგან მოითხოვს მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენების პროცესში. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესაბამისობის პრინციპი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდეგში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს). ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-5 შენიშვნაშია განხილული.
ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.
რადგან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ვ) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ზ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

შემოსავალი

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ- საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია

3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავლის აღიარება მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს აღიარებს ფასს-15-ის მიხედვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- კომპანიას შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.
- შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში

შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან

სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას. აღნიშული სამშენებლო ხელშეკრულებებზე შესასრულებელი ვალდებულებების შესრულება ხორციელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სახელშეკრულებო მუხლები

სახელშეკრულებო აქტივი

კომპანია ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ასრულებს ვალდებულებას საქონლის ან მომსახურებისთვის მანამდე გადაცემით, სანამ მომხმარებელი გადაუხდის ანაზღაურებას, ან სანამ ამ საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც სახელშეკრულებო აქტივს. იგი არის მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება ანაზღაურებაზე. კომპანია სახელშეკრულებო აქტივის გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულება

კომპანია ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე მანამ, სანამ კომპანია საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, წარადგენს როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას. იგი არის

ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც კომპანიამ მომხმარებლისაგან მიიღო ანაზღაურება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის უპირობო უფლებას ანაზღაურებაზე. ანაზღაურებაზე უფლება უპირობოა, როდესაც მხოლოდ გარკვეული დროის გასვლაა საჭირო ანაზღაურების გადახდის ვადის დადგომისათვის. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

სამშენებლო კონტრაქტების დასრულების ეტაპი

კომპანია აღიარებს სამშენებლო შემოსავალს ფასს 15-ის მიხედვით, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისთვის სამუშაოს ფიზიკური ნაწილის დასრულების განსაზღვრით. მენეჯმენტი აფასებს ხელშეკრულების დასრულების ეტაპს ანგარიშგების თარიღისთვის დასრულებული სამუშაო ერთეულების ფაქტობრივი რაოდენობის და მთელი კონტრაქტისთვის შესასრულებელი სამუშაო ერთეულების საერთო რაოდენობის შეფასებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ჰყავს როგორც შტატიანი, ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის მოთხოვნებისაგან.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).
აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება - ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი” (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ

შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).
- ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით. ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის

აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი. გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები ასევე აღიარებულია როგორც მარაგები, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს 16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ, ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით.

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების (ისტორიული ღირებულების) მოდელი.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ცვეთა

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

ძირითადი საშუალების ტიპი	სასარგებლო მომსახურების ვადა (თვე)
დაუმთავრებელი მშენებლობა	240
შენობა-ნაგებობები	240
სამშენებლო ინვენტარი	60-150
მანქანა-დანადგარები	150
ოფისის აღჭურვილობა	60
სატრანსპორტო საშუალებები	120

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან; აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას.

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2023 წლის 1 იანვრიდან IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტების მიხედვით ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის,).

- შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17- ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- მსს ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

- ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი)

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	654,920	2,882,904
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**654,920**	**2,882,904**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკის ანგარიშებზე განთავსებული ეროვნული ვალუტის თანხებს.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,877,846	40,117
გადახდილი ავანსები	202,127	354,144
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	27	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,080,000**	**394,261**

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები წარმოადგენს ხელშეკრულების მიხედვით შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელ თანხებს კომპანიის კლიენტების მიერ. კომპანია აქვს ასევე სხვადასხვა მომსახურების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სამშენებლო მასალები და ინვენტარი	1,860,123	1,064,843
საწვავები	4,232	5,897
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**1,864,355**	**1,070,740**

მარაგები უდიდესი ნაწილი შედგება მშენებლობისთვის საჭირო მასალებისგან, დეტალებისგან და ინვენტარისგან. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

9. ფინანსური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილი თანხა იყო თიბისი ბანკის მიერ ბლოკირებული საგარანტიო ოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა კომპანიისთვის 2023 წლის მაისში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს საქართველოს ბანკის საბანკო გარანტიები და უზრუნველყოფას წარმოადგენს 2,447,851 ლარი.

10. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	სამშენებლო ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება							
2022 წლის 1 იანვარი	**73,162**	**-**	**31,425**	**37,789**	**24,932**	**50,164**	**217,472**
შემოსვლა	20,503	-	102,075	200,204	5,931	-	328,713
გასვლა	-	-	-	-	-	(6,000)	(6,000)
2022 წლის 31 დეკემბერი	**93,665**	**-**	**133,500**	**237,993**	**30,863**	**44,164**	**540,185**
შიდა გადაადგილება	(125,090)	125,090	-	-	-	-	-
შემოსვლა	31,425	-	44,636	-	17,800	-	93,861
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**125,090**	**178,136**	**237,993**	**48,663**	**44,164**	**634,046**
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**(3,885)**	**-**	**(2,632)**	**(1,467)**	**(7,984)**
წლის ცვეთა	-	-	(14,049)	(15,914)	(5,278)	(4,598)	(39,839)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	-	-	694	694
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(17,934)**	**(15,914)**	**(7,910)**	**(5,371)**	**(47,129)**
წლის ცვეთა	-	(5,621)	(29,910)	(19,292)	(9,096)	(4,424)	(68,343)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(5,621)**	**(47,844)**	**(35,206)**	**(17,006)**	**(9,795)**	**(115,472)**
საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	**93,665**	**-**	**115,566**	**222,079**	**22,953**	**38,793**	**493,056**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**119,469**	**130,292**	**202,787**	**31,657**	**34,369**	**518,574**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები გირავნობით ან იპოთეკის უფლებით დატვირთული არ არის.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიღებული ავანსები	1,694,828	992,582
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	28,736	1,476
საპენსიო შენატანის ანგარიშსწორების ანგარიში	6,542	38,875
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	2	14
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,730,108**	**1,032,947**

კომპანიის მიერ მიღებული ავანსები წარმოადგენს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსგან წინასწარ მიღებულ თანხებს შესასრულებელი სამუშაოსთვის. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მცირედი ნაწილი ეკუთვნის ყოველდღიური მიწოდებისა და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

12. სესხები

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
01 იანვარი 2023	**59,507**	**-**	**59,507**
სესხის აღება	-	-	-
პროცენტის დარიცხვა	12,283	-	12,283
სესხის გადახდა	(59,507)	-	(59,507)
პროცენტის გადახდა	(12,283)	-	(12,283)
გადატანა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**-**	**-**	**-**

კომპანიას აღებული ჰქონდა 2-წლიანი სესხი საქართველოში მოქმედი ბანკიდან, რომელსაც ერიცხებოდა წლიური პროცენტი 15,58%. სესხის ვადა ამოიწურა 2023 წელს და კომპანიამ სრულიად დაფარა სასესხო ვალდებულება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს თრეილს ქონსთრაქშენს არ აქვს სასესხო ვალდებულება.

13. საკუთარი კაპიტალი

2023 წელს ორგანიზაციამ გასცა 7,626,404 ლარის დივიდენდი, რომელიც დაიბეგრა 1,346,703 ლარის მოგების გადასახადით, გაუნაწილებელმა მოგებამ კი შეადგინა 9,337,273 ლარი, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის აკუმულირებული მოგება არის 5,363,649.

14. შემოსავალი მომსახურებიდან

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	17,744,973	12,242,589
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	**17,744,973**	**12,242,589**

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისგან. კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო ტენდერები. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ოპერაციები.

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023 წელი	2022 წელი
პირდაპირი ხელფასი	(4,517,992)	(3,412,204)
მარაგები და მასალები	(871,289)	(301,664)
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	(639,902)	(1,213,091)
ობიექტების აშენება-მოწყობა	(351,606)	(171,854)
მძიმე ტექნიკით მომსახურება	(139,114)	(1,579,890)
გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება	-	(745,763)
სხვა მომსახურება	(60,000)	(35,327)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(6,579,903)**	**(7,459,793)**

2023 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს პირდაპირი ხელფასები, მშენებლობაზე გახარჯული მასალების და ტრანსპორტირების ხარჯები. 2022 წელს პირდაპირი ხელფასებთან და ტრანსპორტირებასთან ერთად უდიდეს ხარჯებს წარმოადგენდა მძიმე ტექნიკით მომსახურება და გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება.

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	(197,795)	(171,895)
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	(98,364)	(78,114)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(68,343)	(39,947)
პრომო და სარეკლამო ხარჯები	(21,337)	(8,856)
იჯარის ხარჯი	(15,255)	(11,480)
ქონების საგადასახადო ხარჯი	(5,058)	-
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(1,312)	-
ტრენინგის ხარჯი	(575)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(61,618)	(74,871)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(469,657)**	**(385,163)**

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის 33.2-33.4 პარაგრაფებში:

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	**2023 წელი**	**2022 წელი**
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	445,408	245,485
სულ უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	**445,408**	**245,485**

18. ფინანსური რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელს (რომელიც ასევე დამფუძნებელია) განზრახული აქვს, მომავალშიც განავითაროს ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

	31-დეკ-2023	**31-დეკ-2022**
მთლიანი კაპიტალი	5,363,649	3,652,780
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	*(654,920)*	*(2,882,904)*
კაპიტალი	**4,708,729**	**769,876**
მთლიანი კაპიტალი	5,363,649	3,652,780
სესხები	-	59,507
სრული ფინანსირება	**5,363,649**	**3,712,287**
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	*0.88*	*0.21*

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით ლარში	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,080,000	394,261
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	654,920	2,882,904
სულ ფინანსური აქტივები	**2,734,920**	**3,277,165**

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით ლარში	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სესხები	-	59,507
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,730,108	1,032,947
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,730,108**	**1,092,454**

რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიადგება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა და კომპანიამ ვერ შეძლო ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით.

2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		0%	0%
6 თვეზე ნაკლები	1,730,108	-	1,730,108
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	**1,730,108**	**-**	**1,730,108**

2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		**15.58%**	**15.58%**
6 თვეზე ნაკლები	1,032,947	31,718	1,064,665
6 თვიდან 1 წლამდე	-	27,789	27,789
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	**1,032,947**	**59,507**	**1,092,454**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.